## საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

# განკარგულება

01/04/2026 N 81

თბილისი

## შპს „ფინ“-ის სესხის გამცემი სუბიექტისთვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის $52^2$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის N217/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 25 მარტის N72/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს „ფინ“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი 401953702) სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით სგს-0120182, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N32.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „FIN“-ის სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2019 წლის 25 ივნისის N1046 განკარგულება.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ნინო ჯელაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი